ვალდებულებების კლასიფიკაცია გრძელვადიანად და მოკლევადიანად, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება- შესწორებები ბასს1-თვის (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის იანვრიდან ან მის შემდეგ). ეს ბასს 1-ის შესწორება ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიცირებაზე, გამოცემულია 2020 წლის იანვარში, თავდაპირველი ძალაში შესვლის თარიღით - 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, COVID -19 პანდემიის საპასუხოდ, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით, რათა კომპანიებს მიეცეთ მეტი დრო, განახორციელონ კლასიფიკაციის ცვლილებები, შესწორებული სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ბასს 1-ში და ფასს -ის პრაქტიკულ დებულება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას.

შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8- ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვაონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან- შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 12-ში შეტანილი ცვლილებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა ისეთ ოპერაციებზე, როგორიცაა საიჯარო და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები. განსაზღვრულ გარემოებებში, საწარმოები თავისუფლდებიან გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ისინი პირველად აღიარებენ აქტივებს ან ვალდებულებებს. მანამდე არსებობდა გაურკვევლობა იმის თაობაზე, ეხებოდა თუ არა შეღავათი ისეთ გარიგებებს, როგორიცაა საიჯარო მოვალეობები და ექსპლუატაციის გაუქმების ვალდებულებები - ოპერაციები, რომელთათვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ისე ვალდებულება. ცვლილებების თანახმად, შეღავათი არ მოქმედებს და საწარმოები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ამ ოპერაციებზე. ცვლილებების თანახმად, კომპანიები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ოპერაციებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობს დასაბეგრი და გამოქვითვადი დროებითი სხვაობების თანაბარ რაოდენობას. კომპანია ამჟამად აფასებს ას შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ამჟამად, კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, ბასს 1-ში შესულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე, რადგან მისი სავალო ინსტრუმენტები არ მოიცავენ კონვერტაციის პირობას.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის.

ფინანსური აქტივი

პირველადი აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია, თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად გამონაკლისია სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა.

თავდაპირველად, კომპანია სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად.

იმისათვის, რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI), ნარჩენ ძირ თანხაზე აღნიშნული შეფასება მოიხსენიება, როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან, თუ როგორ მართავს კომპანია ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოდინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, როდესაც კომპანია ვალდებულებას იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები);
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (სასესხო ინსტრუმენტები);
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები);
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია კომპანიისთვის. კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირ თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას. მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე. საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება;
- ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც კომპანია ელოდება, რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდინებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც სახელშეკრულებო პირობების განუყოფელი ნაწილია. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად: საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა და საკრედიტო რისკი, რომლისთვისაც მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა).

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნებისთვის, გაცემული სესხებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (“ECL”) გამოსათვლელად. შესაბამისად კომპანია არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს. სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიას შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორიულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

საეჭვო ვალების დარეზერვებისთვის კომპანია ინდივიდუალურად შეისწავლის თითოეულ სავაჭრო მოთხოვნას და განიხილავს საეჭვო მოთხოვნების დარეზერვების საჭიროებას.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში.

ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

ფინანსური ვალდებულებები, გარდა სესხის და ფინანსური გარანტიებისა, აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით, როდესაც მათ ფლობენ სავაჭროდ, ან დერივატიულ ინსტრუმენტებად, ან გამოიყენება სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ვალდებულების გასტუმრება, გაუქმება ან ვადის ამოწურვა

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება მოხდება ახლით, იგივე მსესხებლისგან, მაგრამ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დაკორექტირდება საგრძნობლად, მსგავსი გადაცვლა ან კორექტირება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის მიმდინარე ღირებულებებს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

თავდაპირველი აღიარება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ ღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ზარალი. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადა, ისინი აღირიცხება ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ძირითადი, ადმინისტრაციული საქმიანობისთვის, ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომლებიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით. მოგება და ზარალი რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში. ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღრიცხულია დამოუკიდებლად და კაპიტალი იზრდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოიწერა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

შემდგომი შეფასება / აღრიცხვა

ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას შემდეგ, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

	სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)
შენობები	5-50
მანქანა-დანადგარები	1-30
ოფისისი აღჭურვილობა	1-20
სატრანსპორტო საშუალებები	8-10

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის. ცვეთა არ წყდება, როდესაც აქტივი გადადის მოცდენის რეჟიმში ან აღარ გამოიყენება აქტიურად, თუ აქტივი მთლიანად არ არის გაცვეთილი.

სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოიხილება ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს, ნებისმიერი ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულად. ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მარაგები

მარაგები თავდაპირველად აღირიცხება ღირებულებით, ხოლო შემდგომ ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება მთლიანი შესყიდვის ღირებულებით, დამატებული მარაგების ამჟამინდელ ადგილზე
და მდგომარეობამდე მიყვანისთვის საჭირო ყველა სხვა ხარჯი. მაგალითად, ტრანსპორტირების, იმპორტის და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

შეზღუდული ფული შედის ფულადი სახსრებისა და ფულის ეკვივალენტებში, ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ნაშთები, რომლებიც შეიზღუდება გაცვლის ან გამოყენების ვალდებულების შესასრულებლად, ანგარიშგების თარიღიდან სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში, შედის სხვა გრძელვადიან აქტივებში. დეტალები მოცემულია მე-16 შენიშვნაში.

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი: კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდების მიხედვით. ცვლილება კომპანიის წესდებაში (ცვლილება საწესდებო კაპიტალში, მფლობელებში და ა.შ) მოხდება მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება კაპიტალში იმ თანხით, რომელიც რეალურად შეტანილი იქნა კომპანიაში მფლობელის მიერ.

დივიდენდები: დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება (შენიშვნა 17). ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში (შენიშვნა 25).

მოგების გადასახადი

მოგებიდან გადასახადები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ძალაშია ან არსებითად ძალაშია საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის.
2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმადაც კომპანიები (გარდა ბანკებისა, საკრედიტო გაერთიანებებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ იხდიან მოგებიდან გადასახადს მათ მიერ 2017 წლის 1-ლი იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ მოგება არ განაწილდება ან მიიჩნევა დივიდენდის სახით განაწილებულად.

15 %- იან მოგებიდან გადასახადი გადახდას ექვემდებარება ერთობლივი ღირებულებით (ანუ წმინდა დივიდენდები გადაანგარიშდება 5% გადასახადის დაქვითვით, თუ შეესაბამება, და გაყოფილი 0.85-ზე) ფიზიკური პირებისთვის და არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის 2017 წლის 1-ლი იანვრამდე მიღებული მოგებიდან გადახდილი დივიდენდი გათავისუფლებულია გადასახადისგან. 2008 წლის 1-ლი იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილ შემოსავალზე დივიდენდი ექვემდებარება მოგებიდან გადასახადს ერთობლივ ღირებულებაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო შეღავათით, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც კორპორატიული მოგებიდან გადასახადის წილი, გაცხადებული და გადახდილი დაბეგვრად მოგებაზე მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ იმავე პერიოდისთვის, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე.

თუმცა, საგადასახადო შეღავათის ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ფაქტობრივი მოგებიდან გადასახადს, რაც დაწესებულია დივიდენდის განაწილებაზე. დივიდენდების განაწილებიდან მიღებული მოგებიდან გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგებიდან გადასახადის ხარჯი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომელზედაც დივიდენდი იხდება. მოგებიდან გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი უნდა გადახდილი იქნას ხარჯებზე და სხვა გადასახადებზე, რომლებიც წარმოშობილია არა ეკონომიკურ საქმიანობებთან დაკავშირებით, აქტივებისგან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებაზე და წარმომადგენლობით ხარჯებზე, რომლებიც არ აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა ზოგიერთი ტრანზაქციები ასეთ სუბიექტებთან, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები,ექვემდებარება დაუყოვნებელ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გამოკლებული საგადასახადო შეღავათები, რაც გაცხადებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ მიღებულ

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

აქტივებზე ან მომსახურებაზე, ან ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ამოღებაზე, აღირიცხება სხვა გადასახადებში, საოპერაციო ხარჯების ფარგლებში. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდით. შედეგად კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

იჯარა

კომპანია როგორც მეიჯარე

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა ფასს 16-ის გამოყენების შემდეგ არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე განაგრძობს იჯარების ფინანსური ან საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებას. იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას, წინააღმდეგ შემთხვევაში, კლასიფიცირდება, როგორც ოპერაციული იჯარა.

იჯარა კლასიფიცირდება იჯარის წამოწყების თარიღისთვის, ხოლო ხელახლა შეფასდება - მხოლოდ იჯარის (საიჯარო ხელშეკრულების) მოდიფიკაციის შემთხვევაში სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები (მაგალითად, საიჯარო აქტივის ეკონომიკური მომსახურების ვადის ან ნარჩენი ღირებულების), ან სხვა გარემოებების შეცვლა (მაგალითად, მოიჯარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობა) არ იწვევს იჯარის ხელახალი კლასიფიკაციის აუცილებლობას მისი აღრიცხვის მიზნებისათვის.

კომპანია, როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას რომელიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ, კომპანიამ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

იჯარა განიმარტება, როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ

ამ განმარტების გამოსაყენებლად კომპანიამ უნდა შეაფასოს:

ა) კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.

ბ) ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან არსებითი სარგებლის მიღების უფლება. აქტივის გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის უმეტესი წილის მიღების უფლების არსებობის შეფასებისას, საწარმომ ეკონომიკური სარგებლის ის სახეები უნდა განიხილოს, რომლებიც აქტივის გამოყენებით მიიღება აქტივის გამოყენებაზე მომხმარებლის უფლებებისთვის დადგენილ გარკვეულ საზღვრებში. კომპანია განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას;

საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ აღნიშნული განაკვეთი არ არის ხელმისაწვდომი მოიჯარემ უნდა გამოიყენოს ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: ზრდის ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით; ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვით; და თავიდან აფასებს საბალანსო ღირებულებას საიჯარო გადახდების ცვლილებების შემთხვევაში.

მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულების თავიდან შეფასებისას კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აქტივის გამოყენების უფლება ნულის ტოლია, მოიჯარემ მოგება/ზარალში უნდა აღიაროს ნებისმიერი მოდიფიკაცია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აქტივის გამოყენების უფლება შესაძლოა აღირიცხოს ძირითად საშუალებებში ან განცალკევებულად, ხოლო საიჯარო ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ან განცალკევებულად.

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ კომპანია ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდება თანხის მიღება. ამონაგების შეფასება უნდა მოხდეს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებითა და გადასახადების გამოკლებით.

კომპანიამ მიიღო ფასს 15 შემოსავლის აღიარების მიზნებისთვის. ყოველ ხელშეკრულებაზე კომპანია ახორციელებს შემდეგ ნაბიჯებს: ახდენს კონტრაქტის არსებობის იდენტიფიცირებას; განსაზღვრავს შესრულების ვალდებულებას; განსაზღვრავს ტრანზაქციის ფასს; ანაწილებს ტრანზაქციის ფასს თითოეული შესრულების ვალდებულებაზე და აღიარებს შემოსავალს მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა შესრულების ვალდებულება შესრულდება დაპირებული საქონლის ან მომსახურების მიწოდებით.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი, ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას:

- ხელფასები;
- წლიური ფასიანი შვებულებები და ბიულეტენის ანაზღაურება;
- არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის.

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნა 23-ზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი: კომპანია რეგულარულად გადახედავს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების შეფასებას. ახალი ფასს 9-ის მიხედვით, გაუფასურების მოდელი მოითხოვს გაუფასურების რეზერვს ყველა რისკზე ფინანსური ინსტრუმენტის წარმოქმნის მომენტიდან მისი თავდაპირველი აღიარების მომენტამდე მისი საკრედიტო რისკის გაუარესების მიხედვით. თუ არ მომხდარა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, ფასს 9 მოითხოვს რეზერვს მომდევნო 12 თვის მანძილზე მოსალოდნელ დანაკარგებზე დაყრდნობით. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან/და თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის „გაუფასურებული“, სტანდარტი მოითხოვს რეზერვის შექმნას მისი სასიცოცხლო ვადის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მიხედვით. იმის შეფასება, განიცადა თუ არა ფინანსურმა ინსტრუმენტმა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა განსხვავდება პროდუქტის და რისკის სეგმენტის მიხედვით. დეტალური ინფორმაცია კომპანიის გაუფასურების რეზერვებზე მოცემულია შენიშვნა 15-ში.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა: კომპანია აფასებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული დაძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ მონაცემებზე. სასარგებლო გამოყენების ვადა გადაიხედება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და დაშვებაში ცვლილების საჭიროების შემთხვევაში მოხდება მისი განახლება.

5. წინა პერიოდის კლასიფიკაციის ცვლილება

კომპანიამ, ფინანსური ანგარიშგების უკეთ წარდგენის მიზნით, მოახდინა ფინანსური ანგიშგების ცალკეულ ელემენტების კლასიფიკაციის ცვლილება, რამაც შემდეგი გავლენა იქონია კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე.

ეფექტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე

კლასიფიკაციის ცვლილება

31 დეკმბერი 2021	წინა ანგარიშის მიხედვით	რეკლასი	რეკლასიფიცირებული თანხა
მოკლევადიანი სესხი	-	1,360,880	1,360,880
გრძელვადიანი სესხი	1,360,880	(1,360,880)	-

6. ამონაგები

ამონაგები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2022	2021
ამონაგები ექსპორტიდან	7,528,631	7,641,898
ამონაგები ადგილობრივი გაყიდვებიდან	356,320	-
ამონაგები საცალო ექსპორტიდან	300,155	450,625
სულ ამონაგები	**8,185,106**	**8,092,523**

7. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2022	2021
კომუნალური ხარჯები	1,507,826	1,526,759
ხელფასი და სხვა სარგებელი	1,435,395	1,245,074
მიღებული ანალიტიკური მომსახურება	658,142	451,047
ცვეთა	528,174	514,718
ნედლეული და მასალები	43,215	515,461
სულ გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	**4,172,752**	**4,253,059**

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2022	2021
ხელფასი და სხვა სარგებელი	743,126	1,077,678
საკონსულტაციო	44,505	408
ცვეთა და ამორტიზაცია	30,551	14,679
სხვა ხარჯები	16,776	17,907
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**834,958**	**1,110,672**

9. სხვა საოპერაციო ხარჯი

სხვა საოპერაციო ხარჯი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2022	2021
რემონტი	56,900	117,873
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	47,366	51,696
ოფისის აღჭურვილობა	10,462	10,206
იჯარა	9,137	8,666
საწვავი	6,673	4,846
სხვა ხარჯები	11,034	11,380
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	**141,572**	**204,667**

10. ზარალი საკურსო სხვაობიდან, წმინდა

ზარალი საკურსო სხვაობიდან 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2022	2021
მოკლევადიანი სესხი	240,639	(4,190)
საიჯარო ვალდებულება	14,660	15,129
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,596)	728
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(92,811)	(58,625)
ფული და ფულის ეკვივალენტები	(1,208,592)	(172,017)
გაცემული სესხი	-	(36,420)
ზარალი საკურსო სხვაობიდან, წმინდა	**(1,047,700)**	**(255,395)**

11. მოგების გადასახადი

კომპანიის მოგების გადასახადი 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის შეადგენს 7 და 97 ლარს, შესაბამისად.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2023 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არა რეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორიცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

12. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრისა მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	მიწა	შენობები	ტრანსპორტი	მანქანა-დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	კაპიტალური შეკეთებები	სხვა	სულ
ისტორიული ღირებულება								
1 იანვარი 2021	**108,930**	**823,482**	**189,857**	**8,508,718**	**80,975**	**127,668**	**16,702**	**9,856,332**
ზრდა	-	-	-	39,136	3,888	97,632	2,931	**143,587**
ტრანსფერი	-	-	-	(198)	(12,918)	-	(582)	**(13,698)**
31 დეკემბერი 2021	**108,930**	**823,482**	**189,857**	**8,547,656**	**71,945**	**225,300**	**19,051**	**9,986,221**
ზრდა	-	38,988	-	320,812	10,427	12,225	10,334	**392,786**
გასვლა	-	(16,690)	-	(5,800)	(3,119)	-	(706)	**(26,315)**
31 დეკემბერი 2022	**108,930**	**845,780**	**189,857**	**8,862,668**	**79,253**	**237,525**	**28,679**	**10,352,692**
დაგროვილი ცვეთა								
1 იანვარი 2021	**-**	**(280,068)**	**(133,665)**	**(5,938,105)**	**(49,539)**	**(38,777)**	**(3,470)**	**(6,443,624)**
წლის ცვეთის დარიცხვა	-	(31,984)	(14,798)	(451,099)	(8,751)	(15,260)	(3,079)	**(524,971)**
გასვლა	-	-	-	198	10,962	-	328	**11,488**
31 დეკემბერი 2021	-	**(312,052)**	**(148,463)**	**(6,389,006)**	**(47,328)**	**(54,037)**	**(6,221)**	**(6,957,107)**
წლის ცვეთის დარიცხვა	-	(32,151)	(14,798)	(463,711)	(9,533)	(22,662)	(4,487)	**(547,342)**
გასვლა	-	11,013	-	3,641	37	-	410	**15,101**
31 დეკემბერი 2022	**-**	**(333,190)**	**(163,261)**	**(6,849,076)**	**(56,824)**	**(76,699)**	**(10,298)**	**(7,489,348)**
წმინდა საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2021	**108,930**	**511,430**	**41,394**	**2,158,650**	**24,617**	**171,263**	**12,830**	**3,029,114**
31 დეკემბერი 2022	**108,930**	**512,590**	**26,596**	**2,013,592**	**22,429**	**160,826**	**18,381**	**2,863,344**

კომპანიის ძირითადი საშუალებები არ არის დატვირთული, როგორც უზრუნველყოფის საგანი მესამე პირის სასარგებლოდ. კომპანიას არ აქვს სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2022 წლის განმავლობაში მარაგების თვითღირებულებაში ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი წარმოდგენილია 516,791 ლარის ოდენობით (2021: 510,292 ლარი), საიდანაც გაყიდული პროდუქციის თვითღირებულებაში ასახულია 430,028 ლარის ოდენობით (2021: 418,083 ლარი).

13. აქტივის გამოყენების უფლება

აქტივის გამოყენების უფლება 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	საწარმოო ფართი	მანქანა-დანადგარები	სულ
საბალანსო ღირებულება			
1 იანვარი 2021	**457,810**	**131,930**	**589,740**
ცვლილება	-	-	-
31 დეკემბერი, 2021	**457,810**	**131,930**	**589,740**
ცვლილება	-	-	-
31 დეკემბერი, 2022	**457,810**	**131,930**	**589,740**
დაგროვილი ცვეთა			
1 იანვარი 2021	**(183,124)**	**(52,772)**	**(235,896)**
ცვეთის ხარჯი	(91,562)	(26,386)	**(117,948)**
31 დეკემბერი, 2021	**(274,686)**	**(79,158)**	**(353,844)**
ცვეთის ხარჯი	(91,562)	(26,386)	**(117,948)**
31 დეკემბერი, 2022	**(366,248)**	**(105,544)**	**(471,792)**
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2021	**183,124**	**52,772**	**235,896**
31 დეკემბერი 2022	**91,562**	**26,386**	**117,948**

კომპანიას საიჯარო ხელშეკრულებით მიღებული აქვს მანქანა-დანადგარები და საწარმოო ფართი 2023 წლის 31 დეკემბრამდე. სახელშეკრულებო პირობების მიხედვით თვის საიჯარო გადასახადია 1,170 და 4,060 აშშ დოლარი დღგ-ის ჩათვლით.

აქტივი გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი სრულად აისახება მარაგების თვითღირებულებაში, საიდანაც 2022 წლის განმავლობაში გაყიდული პროდუქციის თვითღირებულებაში ასახულია 98,146 ლარის ოდენობით (2021: 96,635 ლარი).

14. მარაგები

მარაგები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
დაუმთავრებელი წარმოება	1,092,496	871,306
ნედლეული	1,054,027	905,013
მზა საქონელი	723,940	314,352
სულ მარაგები	**2,870,463**	**2,090,671**

მარაგები არ არის დატვირთული, როგორც უზრუნველყოფის საგანი მესამე პირის სასარგებლოდ.

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო მოთხოვნები ექსპორტიდან	1,016,991	1,070,221
სავაჭრო მოთხოვნები ადგილობრივი გაყიდვიდან	10,121	12,120
სავაჭრო მოთხოვნები საცალო გაყიდვებიდან	2,008	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**1,029,120**	**1,082,341**

კომპანიამ ფინანსური ანგარიშგების უკეთ წარდგენის მიზნით 2022 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით ჩამოწერა 64,247 ლარის უიმედო ვალი, შესაბამისად უიმედო ვალების რეზერვი არ შექმნილა.

16. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	7,949,987	6,957,080
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	9,055	8,519
ნაღდი ფული სალაროში	1,239	1,757
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	**7,960,281**	**6,967,356**

ფულის ნაშთი ბანკში კლასიფიცირდება როგორც ურისკო. ფულთან და ფულის ეკვივალენტებთან დაკავშირებული სავალუტო რისკი წარმოდგენილია 21-ე შენიშვნაში.

17. მფლობელის კაპიტალი

მფლობელის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2,500 ლარს.

2022 და 2021 წლებში დივიდენდის გამოცხადება და გაცემა არ მომხდარა.

18. მიღებული სესხი

კომპანიამ სასესხო ვალდებულება აიღო 2021 წლის დეკემბერში ფინანსური ვალდებულებების დასაფარად და ახალი ჰაერგამყოფი დანადგარის შესასყიდად. სესხის პროცენტი გადაიხდება ყოველი წლის ბოლოს და პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში გადაუხდელი საპროცენტო ვალდებულება დაემატება სესხის ძირს. კომპანიის მიღებული სესხი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრისა მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ხელშეკრულება	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	სესხის გაცემის თარიღი	სესხის დასრულების თარიღი	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
მშობელი კომპანია (CPI Chemie Pharmacie Isotopes AG)	2.00%	ევრო	13-დეკ-21	დაფარვამდე	1,142,645	1,360,880
					1,142,645	**1,360,880**

სესხის ნაშთის ცვლილება 2022 და 2021 წლების განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2022	2021
1 იანვრის მდგომარეობით	**1,360,880**	**-**
სესხის მიღება	-	1,355,274
პროცენტის დარიცხვა	22,404	1,415
კურსთაშორის სხვაობის გავლენა	(240,639)	4,191
31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,142,645**	**1,360,880**

19. საიჯარო ვალდებულება

კომპანიის საიჯარო ვალდებულება 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრისა მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	1 წელზე ნაკლები	1 დან 5 წლამდე	სულ
31 დეკემბერი, 2022	15,112	-	**15,112**
31 დეკემბერი, 2021	164,750	38,911	**203,661**
	179,862	**38,911**	**218,773**

19. საიჯარო ვალდებულება (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულებების ცვლილება 2022 და 2021 წლების განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2022	2021
თავდაპირველი აღიარება	**203,661**	**397,423**
საპროცენტო ხარჯი	8,889	23,438
საკურსო სხვაობა, წმინდა	(14,660)	(15,129)
ურთიერთჩათვლა	(182,778)	(202,071)
ნაშთი წლის ბოლოს	**15,112**	**203,661**

20. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრისა მდგომარეობით კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო ვალდებულებები	224,343	200,354
სხვა ვალდებულებები	40	2,833
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**224,383**	**203,187**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებული სავალუტო რისკი წარმოდგენილია 21-ე შენიშვნაში.

21. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მართვის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით, რომ სწორად იწარმოოს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

ფინანსური რისკი მოიცავს:

- საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო, საპროცენტო და საფასურთან დაკავშირებულ რისკებს);
- ასევე საკრედიტო რისკებს, და
- ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს.

ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა, ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა.

საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკებს, აღნიშნული რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულებს ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ქვემოთ წარმოდგნეილი ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან:

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	1,029,120	1,082,341
ფული და ფულის ეკვივალენტები	16	7,959,042	6,965,599
სულ საკრედიტო რისკის საფრთხე		**8,988,162**	**8,047,940**

21. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ მცურავი საპროცენტო განაკვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანია არ იყენებს რაიმე წარმოებულ ფასიან ქაღალდებს საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მიზნით, რადგანაც კომპანიის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ფიქსირებულ განაკვეთი აქვს და შესაბამისად, რისკი არის შეზღუდული.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივებთან და ვალდებულებებთან მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს,
რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.
მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია, ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად, კომპანიის ხელმძღვანელობა ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით. ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის ის ფინანსური აქტივები, რომლებიც დაკავშირებულია სავალუტო რისკებთან:

	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია
31 დეკემბერი 2022			
აშშ დოლარი	1,028,119	-	**1,028,119**
ევრო	-	(1,148,503)	**(1,148,503)**
სულ	**1,028,119**	**(1,148,503)**	**(120,384)**
31 დეკემბერი 2021			
აშშ დოლარი	1,070,221	-	**1,070,221**
ევრო	-	(1,375,831)	**(1,375,831)**
სულ	**1,070,221**	**(1,375,831)**	**(305,610)**

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს მოგების ან ზარალისა მგრძნობელობას სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, ყველა სხვა ცვლადების მუდმივობის პირობებში:

	გავლენა მოგება-ზარალზე	
	2022	**2021**
აშშ დოლარის 30%-ით გამყარება	308,436	321,066
ევროს 30%-ით გამყარება	344,551	412,749
აშშ დოლარის 30%-ით გაუფასურება	(308,436)	(321,066)
ევროს 30%-ით გაუფასურება	(344,551)	(412,749)

21. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიას აქვს ყოველდღიური მოთხოვნები საკუთარ ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2022 და 2021 წლების მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები, რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არსებული ნაშთებისგან, რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით.

გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრისთვის მოცემულია ქვემოთ:

31 დეკემბერი 2022	**< 1 წელი**	**1-დან 5 წლამდე**	**სულ**
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,029,120	-	**1,029,120**
ფული და ფულის ეკვივალენტები	7,960,281	-	**7,960,281**
სულ ფინანსური აქტივები	**8,989,401**	**-**	**8,989,401**
ფინანსური ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	15,112	-	**15,112**
მოკლევადიანი სესხი	1,142,645	-	**1,142,645**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	224,383	-	**224,383**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**1,382,140**	**-**	**1,382,140**
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	**10,371,541**	**-**	**10,371,541**

31 დეკემბერი 2021	**< 1 წელი**	**1-დან 5 წლამდე**	**სულ**
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,082,341	-	**1,082,341**
ფული და ფულის ეკვივალენტები	6,967,356	-	**6,967,356**
სულ ფინანსური აქტივები	**8,049,697**	**-**	**8,049,697**
ფინანსური ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	164,750	38,911	**203,661**
მოკლევადიანი სესხი	1,360,880	-	**1,360,880**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	203,187	-	**203,187**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**1,728,817**	**38,911**	**1,767,728**
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	**9,778,514**	**38,911**	**9,817,425**

22. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა. აქედან გამომდინარე, ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომლის მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციის შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

	31 დეკემბერი 2022		31 დეკემბერი 2021	
	საბალანსო ღირებულება	**სამართლიანი ღირებულება**	**საბალანსო ღირებულება**	**სამართლიანი ღირებულება**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,029,120	1,029,120	1,082,341	1,082,341
ფული და ფულის ეკვივალენტები	7,960,281	7,960,281	6,967,356	6,967,356
მოკლევადიანი სესხი	1,142,645	1,142,645	1,360,880	1,360,880
საიჯარო ვალდებულება	15,112	15,112	203,661	203,661
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	224,383	224,383	203,187	203,187

23. პირობითი ვალდებულებები, ხარჯები და საოპერაციო რისკები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. ხელმძღვანელობის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს, შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას, შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები, მათ შორის მფლობელ კომპანიაზე განხორციელებულ რეალიზაციაზე სატრანსფერო ფასწარმოქმნის საბაზრო ფასთან შესაბამისობის განსაზღვრასთან დაკავშირებით, რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები. 2022 წლის და 2021 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით პროვიზია არ შექმნილა.

24. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

(ა) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ,ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

(ბ) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.

(გ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

24. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

(დ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

(ე) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია(ა) ან (დ)-ში;

(ვ) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზედაც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდებს.

(ზ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია ქვემოთ:

	ურთიერთობის სახე	**31 დეკემბერი, 2022**	**31 დეკემბერი, 2021**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	საერთო მენეჯმენტი	-	30,576
სულ ანგარიშგებაში		**1,029,120**	**1,082,341**
მიღებული სესხი	მფლობელი	1,142,645	1,360,880
სულ ანგარიშგებაში		**1,142,645**	**1,360,880**
საიჯარო ვალდებულებები	საერთო მენეჯმენტი	15,112	203,661
სულ ანგარიშგებაში		**15,112**	**203,661**

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები 2022 და 2021 წლების განმავლობაში წარმოდგენილია ქვემოთ:

	ურთიერთობა	**2022**	**2021**
ამონაგები	საერთო მენეჯმენტი	270,698	450,625
სულ ანგარიშგებაში		**8,185,106**	**8,092,523**
ფინანსური ხარჯი	საერთო მენეჯმენტი	31,293	24,853
სულ ანგარიშგებაში		**31,293**	**24,853**
ფინანსური შემოსავალი	საერთო მენეჯმენტი	-	13,397
სულ ანგარიშგებაში		**-**	**13,397**

ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება 2022 და 2021 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2022	**2021**
ხელფასები და სხვა სარგებელი	**219,200**	**153,790**

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ხელმძღვანელობამ ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დაამტკიცა 2023 წლის 31 მარტს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

შპს „სი ფი აი ჯორჯია“
მმართველობის ანგარიშგება



სარჩევი:

2022 წლის მმართველობის ანგარიშგება

1. ზოგადი ინფორმაცია სუბიექტის შესახებ 3

2. კომპანიის საქმიანობა 3

3. ინფორმაცია ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების შესახებ 4

4. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და განვითარების მიმოხილვა და სამომავლო მიზნები 6

5. გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემები 6

6. კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკები 7

7. სოციალური და დასაქმების საკითხები 10

8. მმართველობითი ანგარიშის დამტკიცება 11

1. ზოგადი ინფორმაცია სუბიექტის შესახებ

შპს „სი ფი აი ჯორჯია”, ს/კ 204969908 (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას საქართველოს კანონისა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და მათ შესაბამისად ჩამოყალიბებულ სამეწარმეო იურიდიულ პირს.

კომპანია დაარსდა 2001 წელს. მარეგისტრირებელი ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, პეტრე ქავთარაძის ქ.#46

კომპანიის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია შვეიცარიაში 2000 წლის 20 ნოემბერს რეგისტრირებული კომპანია სააქციო საზოგადოება „ცე-პეი ხემი ფარმაცი იზოტოპი“ (CPI Chemie Pharmacie Isotopes AG).

კომპანიის დირექტორია ვიქტორ დიდიშვილი (პ/ნ 19001006189).

კომპანია წარმატებით იყენებს უნიკალურ და ღირებულ ნოუ-ჰაუს, რომელიც აძლევს საშუალებას აწარმოოს უმაღლესი ხარისხის სამრეწველო პროდუქცია.

კომპანიის გუნდი დაკომპლექტებულია საკმაოდ გამოცდილი კადრებით, რომელთაც აქვთ მკაცრად განსაზღვრული ძირეული პრინციპები და ხედვა, მათი გამოცდილება საშუალებას აძლევს კომპანიას მაღალი ხარისხით და დროულად შეასრულოს ნებისმიერი სირთულის ამოცანები.

2. კომპანიის საქმიანობა

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სტაბილური იზოტოპებით ჟანგბად-18 და ჟანგბად-17 იზოტოპით გამდიდრებული იზოტოპური წყლის და აზოტ-15 იზოტოპით გამდიდრებული მარილების წარმოება. რომელიც იგზავნება ექსპორტზე.

კომპანიის ამონაგებმა 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის შეადგინა 8,185,106 ლარი და 8,092,523 ლარი შესაბამისად.

კომპანიის სტრუქტურა

კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა არის ეფექტური, მოქნილი და დასახულ ამოცანებზე მისადაგებული, რათა მიღწეულ იქნას მდგრადი კონკურენტული უპირატესობა.

კომპანიის მთავარი სათათბირო და მმართველობითი ორგანოა - „მენეჯერული კრება“ რომელსაც ხელმძღვანელობს დირექტორი.

„მენეჯერული კრების“ ძირითადი ფუნქციებია: კომპანიის მიმდინარე საკითხების განხილვა/გადაწყვეტა, რგოლებს შორის კოორდინაცია/კომუნიკაცია, სტრატეგიული გეგმების განხილვა. მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლი.

ყოველდღიური მართვის პროცესში ჩართული არიან საწარმოო, ხარისხის მართვის, ანალიტიკური, ინფრასტრუქტურის, ავტომატიზაციის, შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის, ფინანსური, ასევე გაყიდვებისა და შესყიდვების დეპარტამენტები. მათი მიზანია ხელი შეუწყონ კომპანიის მართვასა და განვითარებას, უზრუნველყონ პროექტების რეალური გეგმების არსებობა და მათი შესრულება ხარისხიანად, რაციონალურად მოხდეს შესყიდვების განხორციელება.

აღსანიშნავია, რომ კომპანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კადრების განათლების ხარისხს, გამოცდილებას და კომპეტენტურობას. კომპანიაში მუშაობს გამოცდილი და მაღალი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლების გუნდი, რაც ორგანიზაციის წარმატებული საქმიანობის საფუძველია.

3. ინფორმაცია ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების შესახებ

კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები ასეთია:

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	6	8,185,106	8,092,523
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	7	(4,172,752)	(4,253,059)
საერთო მოგება		**4,012,354**	**3,839,464**
ადმინისტრაციული ხარჯი	8	(834,958)	(1,110,672)
მიწოდების ხარჯი		(130,895)	(30,647)
სხვა საოპერაციო ხარჯები	9	(141,572)	(204,667)
საოპერაციო მოგება		**2,904,929**	**2,493,478**
ფინანსური შემოსავალი		-	13,397
ფინანსური ხარჯი		(31,293)	(24,853)
უიმედო ვალის ჩამოწერა		(64,247)	-
ზარალი საკურსო სხვაობიდან	10	(1,047,700)	(255,395)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა		70,936	111,825
მოგება დაბეგვრამდე		**1,832,625**	**2,338,452**
მოგების გადასახადი	11	-	(97)
წლის წმინდა მოგება		**1,832,625**	**2,338,355**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**1,832,625**	**2,338,355**

	2022	2021	**ცვლილება**
საერთო მოგების მარჟა (საერთო მოგება/ამონაგები)	48%	47%	0.27%
საოპერაციო მოგების მარჟა (საოპერაციო მოგება/ამონაგები)	35%	31%	4.67%
წმინდა მოგების მარჟა (წმინდა მოგება/ამონაგები)	22%	29%	-6.50%
აქტივებზე უკუგება (წმინდა მოგება/საშუალო აქტივები)	13%	20%	-6.98%
კაპიტალზე უკუგება (წმინდა მოგება/საშუალო კაპიტალი)	15%	22%	-7.68%

3. ინფორმაცია ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების შესახებ (გაგრძელება)

კომპანიის ფინანსური მდგომარეობა:

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	2,863,344	3,029,114
აქტივის გამოყენების უფლება	13	117,948	235,896
არამატერიალური აქტივები		-	4,258
სულ გრძელვადიანი აქტივები		**2,981,292**	**3,269,268**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	14	2,870,463	2,090,671
გადახდილი ავანსი		358,721	73,832
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	1,029,120	1,082,341
ფული და ფულის ეკვივალენტები	16	7,960,281	6,967,356
სულ მოკლევადიანი აქტივები		**12,218,585**	**10,214,200**
სულ აქტივები		**15,199,877**	**13,483,468**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	17	2,500	2,500
გაუნაწილებელი მოგება		13,521,413	11,688,788
სულ კაპიტალი		**13,523,913**	**11,691,288**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	19	-	38,911
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**-**	**38,911**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხი	18	1,142,645	1,360,880
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20	224,383	203,187
მიღებული ავანსები		240,578	1,601
საიჯარო ვალდებულებები		15,112	164,750
წმინდა საგადასახადო ვალდებულებები	11	53,246	22,851
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**1,675,964**	**1,753,269**
სულ ვალდებულებები		**1,675,964**	**1,792,180**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**15,199,877**	**13,483,468**

3. ინფორმაცია ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების შესახებ (გაგრძელება)

კომპანიის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები:

	2022	2021	ცვლილება
სამუშაო ადგილების რაოდენობა	91	91	-

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

4. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და განვითარების მიმოხილვა და სამომავლო მიზნები

კომპანია სისტემატურად აწარმოებს ბაზარზე არსებული ფასების კონკურენციის და პროდუქციის შესწავლას.

კომპანია სამომავლოდ განიხილავს შემდეგ პერსპექტიულ მიმართულებებს:

- საზოგადოების შემოსავლების ზრდას ახალი პროდუქტების განვითარებით. არსებული კონკურენციის პირობებში კომპანიის მიზანია განვითარებული ტექნოლოგიური საშუალებებით, მაღალკვალიფიციური თანამშრომლობით და გაუმჯობესებული ტექნოლოგიით უპასუხოს თანამედროვე გამოწვევებს, აწარმოო მეტი პროდუქტი და შესთავაზოს მომხმარებელს მსოფლიო მასშტაბით;
- საწარმოო დანახარჯების შემცირებას ახალი ტექნიკური გადაწყვეტილებების დანერგვით. კომპანიაში არსებული კვლევითი-ექსპერიმენტული ჯგუფი მუშაობს რამდენიმე მიმართულებით, რათა მოხდეს რიგი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების იმპლემენტაცია, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოო დანახარჯების შემცირებას ნედლეულსა და მოხმარებულ ენერგიაზე;

5. გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემები

კომპანიის მისიაა საქმიანობა წარმართოს ისე, რომ გაუფრთხილდეს და ზიანი არ მიაყენოს გარემოს, რისთვისაც უზრუნველყოფს ეკოლოგიური მიმართულებით წარმოქმნილი უარყოფითი ზეგავლენის პრევენციას.
გარემოს დაცვის მიმართულებით კომპანიის მიზანია:

- ტექნიკური ინფრასტრუქტურისა და შიდა პროცესების გაუმჯობესებაზე მუდმივად ზრუნვა;
- პერსონალის კვალიფიკაციის, მოტივაციისა და ჩართულობის ამაღლება;
- ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული და საკანონმდებლო აქტების დაცვა;
- მენეჯმენტის სისტემის ფუნქციონირების მუდმივი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულებით რისკების შემცირება;

5. გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემები (გაგრძელება)

კომპანია ზრუნავს საკუთარ იმიჯზე, ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ნდობის მოპოვებაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, მისი საქმიანობიდან და სოციალური პასუხისმგებლობიდან გამომდინარე კომპანია ვალდებულებას იღებს, ადგილობრივი საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით, მუდმივად გააუმჯობესოს გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემა და მისი ფუნქციონირების ეფექტურობა, რაც ძირითად საფუძველს წარმოადგენს შიდა მოხმარების ბუნებრივი რესურსების გაფრთხილებისა და მაქსიმალურად დაზოგვისათვის.

6. კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკები

საწარმოს მიერ საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია რისკის მართვა. სისტემატურად ხდება რისკის გარემოს შეფასება და ანალიზი, საპასუხო ღონისძიებების გატარება და მონიტორინგი. რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის განიხილება სტრატეგიული, ფინანსური, ოპერაციული და სხვა რისკები, რომლებიც შეიძლება იყოს როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორით გამოწვეული.
კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მსოფლიოში არსებულ გეოპოლიტიკურ ვითარებაზე, ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რომლის გაუარესებაც უარყოფით გავლენას მოახდენს მოსახლეობაზე და თავის მხრივ, კომპანიის დაკვეთებზე.

- **საკადრო და საორგანიზაციო რისკები:**

ვინაიდან სპეციალისტების და ინჟინრების მოძიება საკმაოდ რთულია, კომპანიის მთავარი ამოცანაა არსებული თანამშრომლების შენარჩუნება, განვითარება და მოტივირება, რათა არ იყოს კადრების დინების მაღალი კოეფიციენტი.

შრომის უსაფრთხოების რეგულაციების გამკაცრება გარკვეულ რისკებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული, რადგან ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ რომ არა მხოლოდ ჩვენმა კადრებმა მიიღეს ინფორმაცია და ჩაუტარდათ ტრენინგები არამედ ქვეკონტრაქტორის ყველა თანამშრომელს.

- **კომერციული რისკები**

კომპანია ცდილობს, როგორც პროექტების ასევე დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციას რათა დამოუკიდებელი მიზეზების გამო, პროექტის შეჩერების, შეწყვეტის შემთხვევაში შესაძლებელი და უზრუნველყოფილი იყოს კომპანიის ზრდა განვითარება.

ოპერაციული რისკები

ოპერაციების ზრდა ასევე არის დაკავშირებული კომერციულ რისკებთან, რაც თავისთავად გულისხმობს სწორ დაგეგმვას და ასევე კადრებისთვის ახალი მოვალეობების და მოთხოვნების დელეგირებას რათა შენარჩუნებული იქნეს მაღალი ხარისხი და მოხდეს დროის ოპტიმალური გამოყენება.

- **ფინანსური რისკები**

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- საბაზრო რისკი
- სავალუტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

6. კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკები (გაგრძელება)

- კომპანიის მიერ გამოყენებული მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები არის შემდეგი:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,029,120	1,082,341
ფული და ფულის ეკვივალენტები	7,960,281	6,967,356
სულ ფინანსური აქტივები	**8,989,401**	**8,049,697**

ფინანსური ვალდებულებები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
საიჯარო ვალდებულება	(15,112)	(164,750)
სესხები	(1,142,645)	(1,360,880)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(224,383)	(203,187)
სულ ფინანსური ვალდებულებები	**(1,382,140)**	**(1,728,817)**

- **საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ფინანსური დანაკარგების რიცხვს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსურ რისკთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.
საფინანსო საქმიანობის პროცესში წარმოშობილი საკრედიტო რისკის მართვა ძირითადად ხდება ანგარიშების გახსნით მხოლოდ საქართველოს უმაღლესი რეიტინგის მქონე ბანკებში, რომელთაც კომპანიასთან უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ.

- **საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილებების გამო.
საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ უცხოურ ვალუტაში გამოხატული ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად.
მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მერყეობაში ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

- **სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ლარის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში. კომპანია ძირითადად მონაწილეობს სახელმწიფო ტენდერებში და ახორციელებს გრძელვადიან პროექტებს. სახელმწიფო ტენდერებში კონტრაქტის ფასი განსაზღვრულია ეროვნულ ვალუტაში და ძირითადი მასალების ღირებულება, რომელიც კომპანიას ესაჭიროება პროექტის განსახორციელებლად, დამოკიდებულია ლარის კურსზე. შესაბამისად, კომპანია დგება სავალუტო რისკის წინაშე.

6. კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობიარობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მიმართ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია
31 დეკემბერი 2022			
აშშ დოლარი	1,028,119	-	**1,028,119**
ევრო	-	(1,148,503)	**(1,148,503)**
სულ	**1,028,119**	**(1,148,503)**	**(120,384)**
31 დეკემბერი 2021			
აშშ დოლარი	1,070,221	-	**1,070,221**
ევრო	-	(1,375,831)	**(1,375,831)**
სულ	**1,070,221**	**(1,375,831)**	**(305,610)**

	გავლენა მოგება-ზარალზე	
	2022	**2021**
აშშ დოლარის 30%-ით გამყარება	308,436	321,066
ევროს 30%-ით გამყარება	344,551	412,749
აშშ დოლარის 30%-ით გაუფასურება	(308,436)	(321,066)
ევროს 30%-ით გაუფასურება	(344,551)	(412,749)

- **ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება.
ლიკვიდურობის რისკი იმართება მკაცრი მენეჯმენტის გამოყენებით რაც გამოიხატება ფულადი სახსრების მოძრაობის ყოველდღიურ რეჟიმში მონიტორინგით, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოსალოდნელი ფინანსური ვალდებულებების დროული დაფარვა.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია კომპანიის სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

31 დეკემბერი 2022	**< 1 წელი**	**1-დან 5 წლამდე**	**სულ**
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,029,120	-	**1,029,120**
ფული და ფულის ეკვივალენტები	7,960,281	-	**7,960,281**
სულ ფინანსური აქტივები	**8,989,401**	**-**	**8,989,401**
ფინანსური ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	15,112	-	**15,112**
მოკლევადიანი სესხი	1,142,645	-	**1,142,645**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	224,383	-	**224,383**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**1,382,140**	**-**	**1,382,140**
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	10,371,541	-	10,371,541

6. კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკები (გაგრძელება)

მნიშვნელოვანი რისკია ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა, რაც სამუშაო პროცესის შეფერხებას იწვევს, აღნიშნული რისკის შესამცირებლად მანქანა/დანადგარებს უტარდება პრევენციული და რეაქტიული ტექნიკური დათვალიერება.
რისკების მართვის მთავარ მიზანს წარმოადგენს მათი მაქსიმალურად სწორი და დროული შეფასება, მომავალში რისკების შედეგების შემცირების მიზნით, რასაც კომპანია წარსულში მიღებული გამოცდილების და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების შეჯამება-შეფასებით ახორციელებს.

7. სოციალური და დასაქმების საკითხები

- <u>კომპანიის შრომითი ხელშეკრულება:</u>

კომპანიის თითოეულ თანამშრომელთან შრომითი ურთიერთობები რეგულირდება კომპანიის შინაგანაწესით და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. ხელშეკრულებაში განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესახებ.

საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალი. პერსონალთან მუშაობა იწყება მათი მიღების დღიდან. პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შინაგანაწესს, თანამდებობრივ და სამუშაო ინსტრუქციებს, ტექნოლოგიურ რეგლამენტებს, უსაფრთხოების შესაბამის სტანდარტს. სამსახურში მიღება იწყება სტაჟიორის რანგით, გრძელდება საგამოცდო ვადით და სრულდება სამუშაო კონტრაქტით.

თანამშრომელს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, ხოლო მათი დარღვევისათვის გათვალისწინებული სხვადასხვა სასჯელი: დაწყებული შენიშვნიდან დამთავრებული თანამდებობიდან განთავისუფლებამდე.

- <u>კომპანიის შინაგანაწესი:</u>

კომპანიის შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანი არის მუშაკთა უფლებების განმარტება, კომპანიის პირობების განმარტება და მისი შიდა სტრუქტურა.

- <u>გამჭვირვალობა:</u>

ყველა საკითხი არის ღიად განხილული ყველა თანამშრომელთან. ნებისმიერ პრობლემის მოგვარებაში ერთვება დირექტორი და შესაბამისი წარმომადგენელი ადგილზე. ყველა ინფორმაცია არის ღიად განცხადებული, როგორიცა არის კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, რისკები, გეგმები.

- <u>დაზღვევა :</u>

კომპანია შესაძლებლობას აძლევს ყველა თანამშრომელს ისარგებლოს კორპორატიული სამედიცინო დაზღვევით, რაც სურვილის შემთხვევაში ასევე ითვალისწინებს ოჯახის წევრთა ჩართვას სადაზღვევო სისტემაში. კომპანიის იღებს პასუხისმგებლობას და თავისი კეთილი ნებით ყველა თანამშრომელს უზრუნველყოფს სამშენებლო ობიექტზე მომხდარი უბედური შემთხვევის და/ან საწარმოო შემთხვევის დაზღვევით.

- <u>ანაზღაურება ორსულობის დროს ან ავად ყოფნის დროს:</u>

7. სოციალური და დასაქმების საკითხები (გაგრძელება)

კომპანიის ყველა თანამშრომელს ავადმყოფობის პერიოდში სრულად ეძლევა თანამდებობრივი სარგო, ასევე დეკრეტულ შვებულების მთელი პერიოდის მანძილზე სრულად უნარჩუნდება ხელფასი.

- თანამშრომლების მოტივაცია და კომპენსაცია:

კომპანია მუდმივად ზრუნავს თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდაზე და კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ამ მიზნით პერსონალი სისტემატურად იღებს პრემიას, სახელფასო დანამატს ან საჭიროების შემთხვევაში სხვა სახის დახმარებას.
კომპანიის თანამშრომლები საჭიროების მიხედვით მონაწილეობენ ადგილობრივ ტრეინინგებში და აქვთ შესაბამისი სერთიფიკატები.

8. მმართველობითი ანგარიშის დამტკიცება

მმართველობითი ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2023 წლის 31 მარტს.

დირექტორი ვ. დიდიშვილი

_____

7. სოციალური და დასაქმების საკითხები (გაგრძელება)

კომპანიის ყველა თანამშრომელს ავადმყოფობის პერიოდში სრულად ეძლევა თანამდებობრივი სარგო, ასევე დეკრეტულ შვებულების მთელი პერიოდის მანძილზე სრულად უნარჩუნდება ხელფასი.

- თანამშრომლების მოტივაცია და კომპენსაცია:

კომპანია მუდმივად ზრუნავს თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდაზე და კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ამ მიზნით პერსონალი სისტემატურად იღებს პრემიას, სახელფასო დანამატს ან საჭიროების შემთხვევაში სხვა სახის დახმარებას.
კომპანიის თანამშრომლები საჭიროების მიხედვით მონაწილეობენ ადგილობრივ ტრეინინგებში და აქვთ შესაბამისი სერთიფიკატები.

8. მმართველობითი ანგარიშის დამტკიცება

მმართველობითი ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2023 წლის 31 მარტს.

დირექტორი ვ. დიდიშვილი